საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №44

20206. "20" 03

ქ.თბილისი

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს „მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ

თავმჯდომარე

მდივანი

შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, ცენტრის წინაშე იშუამდგომლოს აკრედიტაციის პირობების გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგის გზით. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ცენტრი აკონტროლებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულებას. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების შესახებ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“. ამასთან, აკრედიტაციის პირობების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, აკრედიტაციის საბჭო აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, უფლებამოსილია შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად, ადმინისტრაციული წარმოების დარჩენილი ვადების გათვალისწინებით, განუსაზღვროს არაუმეტეს 60 დღის ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება. ამგვარი ვადის განსაზღვრის შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი ხარვეზები არ/ვერ გამოსწორდა, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აკრედიტაციის გაუქმების შესახებ, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 23 აგვისტოს შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუმ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №-1681 (ცენტრში რეგისტრაციის №-1081879 და 1082028) სააკრედიტაციო განაცხადი „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 25 სექტემბრის № 884 ბრძანების საფუძველზე, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 02 დეკემბრის №1163 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 20 იანვარს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუში, ხოლო 2020 წლის 9 მარტს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

თავმჯდომარე

მდივანი

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓				
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓				

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 20 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაციები, თუმცა სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ათი ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს 2019 წლის 23 აგვისტოს №-1681 (ცენტრში რეგისტრაციის №-1081879 და 1082028) სააკრედიტაციო განაცხადი და ამ გადაწყვეტილების

თავმჯდომარე

მდივანი

დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია 6 თვის ვადაში მონიტორინგით.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 20 მარტის №11 სხდომის ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაციები, დაამატა რეკომენდაციები და განსაზღვრა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში საჭიროა დაზუსტდეს სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტების არსი, რათა პროგრამის სტრუქტურა არ იყოს ბუნდოვანი;

ბ) საჭიროა გასწორდეს საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა, რომლის შედეგად საბაკალავრო ნაშრომზე იმუშავებენ დამამთავრებელ კურსზე მყოფი სტუდენტები;

გ) სტუდენტის შეფასების სისტემა შესაბამისაობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებასთან, კერძოდ სტუდენტთა შეფასება გამოისახოს ქულებში ნაცვლად პროცენტებისა;

დ) რეკომენდებულია მეტი აქტივობები უცხო ენის კომპეტენციის სწავლებასთან დაკავშირებით;

ე) უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში და მათი პროფესიულ განვითარებაში ჩართვის ხელშეწყობა;

ვ) რეკომენდებულია გარდა ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესებისა, გამოიყენოს პერიოდული შეფასების კიდევ ერთი მექანიზმი, გარე ექსპერტის შეფასება, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს პროგრამის განვითარებას;

ზ) საგანმანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სამართლის სფეროს სასწავლო კურსის სათაური და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში, აქცენტი გაკეთდეს კონკრეტულ იმ სფეროზე, რომელიც კავშირშია ამავე პროგრამის კვალიფიკაციასთან და დასაქმების სფეროსთან (ამ შემთხვევაში მენეჯმენტთან).

თ) გადამუშავდეს სასწავლო კურსები ,,საინფორმაციო სისტემები მენეჯმენტი“, „ბიზნესის სამართლებრივი გარემო'':

ი) საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს და გაძლიერდეს მმართველობითი აღრიცხვის, CRM-ის, ბიუჯეტირების სწავლება, ვინაიდან ამ საკითხების ცოდნა აუცილებელია სხვა საგნების დასაძლევად მაგ: ,,საინფორმაციო სისტემები მენეჯმენტში'';

კ) საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს და გაძლიერდეს ლოგისტიკის საკითხების სწავლება;

ლ) გაძლიერდეს პრაქტიკული სწავლება, განსაკუთრებით სიტუაციური ანალიზის განხილვით;

მ) დაზუსტდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

რჩევები:

ა) სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში;

ბ) გაუმჯობესდეს კომუნიკაცია ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიურ, მოწვეულ პერსონალს შორის.

თავმჯდომარე

მდივანი

5. მონიტორინგი განხორციელდეს 6 თვეში 2020 წლის 30 სექტემბრიდან.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 3 აპრილს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი ნიკოლოზ კიკნაძე

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2015 წლის 25 თებერვალი, №27
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	მენეჯმენტი
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	კვალიფიკაციის კოდი[7]	0413
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო, ქ. თბილისი, 0144, წინანდლის ქუჩა N9.
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 3 აპრილი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	მონიტორინგის განხორციელების ეტაპი 6 თვე (2020 წლის 30 სექტემბრიდან)
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 3 აპრილი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი